



ასპინძის სახელობი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * მაისი. 2017 * (3)30

მეთვლე საუკუნის დასაწყისში გამძვინვარებული დედა და შევიწროება აღეგნა ქრისტიანული სარწმუნოების ნინააღმდეგ, იმპერატორ დიოკლეტიანესა და მისი ერთგული თანამზრახველი მანეტიუსის ბრძანებით, ისინი, თავიანთი უამრავი მხარდაჭერის მიუხედავად, ყველა ქალაქსა და რეგიონში დევნიდნენ მორწმუნეებს და უამრავ ხერხს მიმართავდნენ ქრისტიანების გამოვლენისა და სიკვდილით დასჯის მიზნით. მხოლოდ მათ უნარჩუნებდნენ

რისა, ამის შემდეგ საპრობლეში უზარმაზარი ქვის ლოდი დაადეს მკერდზე და არაჩაი ეწო მას. გამძვინვარებულმა იმპერატორმა ემპატოს მთავრობით შექმნა ურმის უზარმაზარი ბორბალი, ირგვლივ ალესილი მახვილებით, ძვლებსა და სახსრების მკვეთელი, ხორცთა დამღლეული, ხოლო ყოველივე ამის შემდეგ ამ ნაშენის ბორბალზე დააკრეს მთავარმონაშენი გიორგი ქალაქის მთავარ მოედანზე ერისა და ხალხთა სახილველად და ესრეთ მბრუნავი

მისთვის შეწირული და თავდადებული გიორგი, განვედით და იხილეთ მოედანზე მისი დაჭრილი და დაფლეთილი სხეულის ნაწილები. ხოლო უფლის განგებით, ჟამსა მეთვლეს,

წმინდა გიორგი

სიცოცხლეს, ვინც უარყოფდა ქვეყნის სარწმუნოებას და აღიარებდა ცრუ ღვთაებებს, ანუ კერპებს. ასევე, მათგან მოითხოვდნენ კერპების მიმართ მსხვერპლშენივას. როგორც საღმრთო წერილი გვამცნობს: — „მაშინ გამობრწყინდა ვითარცა ვარსკვლავი ბრწყინვალე ღამესა ზნელისა, მარგალიტი იგი პატიოსანი და მხნე მხედარი ქრისტესი, წმინდა დიდმონაშენი გიორგი“. მან რაჟამს შეიტყო ქრისტიანთა უმოწყალო დევნის ამბავი, თავისი ქონება და სიმდიდრე გაუნანილა ღარიბებს, უპოვრებს, დავრდომილებსა და გლახაკებს, რამეთუ გიორგი იყო ფრიად მდიდარი და სახელგანთქილი პოასალარი ცნობილი ანკიორთა კომსად ნოდებულისა. ასევე ხშირი და საბატო სტუმარი იმპერატორის კარზე. „რაჟამს ჰკითხა მას იმპერატორის თანამზრახველმა მანეტიუსმა: — ვინ ხარ შენ? ანუ რაი გენოდებოს შენ? წმინდანმა უპასუხა: პირველი და პატიოსანი სახელი ჩემი არს ქრისტეანე, ხოლო კაცთა შორის მენოდების გიორგი“!

ბორბლით, რომელიც ალესული მახვილებით იყო გარემოცული, აკუნეს და დაჭრეს სხეული მონაშისა. (სწორედ წმინდანის ურმის თვალზე ვნების თარიღს აღვნიშნავთ ახალი სტილით 23 ნოემბერს — გიორგობას. ეს დღესასწაული მსოფლიო საქრიატიანოში მხოლოდ საქართველოში აღინიშნება, ამიტომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია გიორგობას ზეიმობს წელიწადში ორჯერ — 23 ნოემბერსა და 6 მაისს). ცნობილია, რომ 365 წმინდა ნაწილია ჩამობრძანებული საქართველოში და ამდენივე ტაძარია აგებული წმ. გიორგის სახელობისა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეში, ხოლო წმინდანის თავის ქალა, მუხლისა და ფეხის ძვალი, დაბრძანებულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში, რომელიც გელათის მონასტრიდან გადმოსვენებულია დაახლოებით 1920-იან წლებში კომუნისტური ხელისუფლების მიერ სხვა სინამდვილეთან ერთად. მთავარმონაშენი გიორგი ოდითგანვე განსაკუთრებულ მფარველად ითვლებოდა ჩვენი ერისა. გიორგი მონათმოქმედს ნიშნავს, მინაზე დაფუძნებული ერთი ვიყავით და არა მომთაბარე, მსგავსად სხვა ერებისა, ასევე ვიყავით კულტურული ერთი, ევროპელები „გიორგიახლებს“ გვიწოდებდნენ. ქართველებს გამუდმებით გვიწედა ბრძოლა დამპყრობლების მოსაგერიებლად. წმ. გიორგი, ვითარცა მეომარი და ქრისტესათვის თავდადებული მებრძოლი იყო ქართველი ერისთვის, წინაშე ღვთისა. ურმის ბორბლის მსგავსად საქართველოს ისტორიის ბედის ბორბალიც მრავალგზის დატრიალებულა მტერთაგან ალესილი მახვილთა გარემოცვაში ჩვენი ქვეყნის დასაფლავად და დასაფლავად, მაგრამ, უფლის წყალობით, ღვთისმშობლის მფარველობით, მონაშენი და წმინდანთა ვედრებით, საუკუნეების განმავლობაში იმუშებდა მძიმე და ღრმა ქროლობებს.

იყო ზეცაში საშინელი გრგვინვა. ღვთის წმინდა ანგელოზი გარდამოვიდა ცოდან უამრავი ხალხის სახილველად „გამათლიანა წმინდანის დაფლეთილი სხეული, განკურნა წყალღებანი მისნი, აღადგინა, მოეხვია და ამბოროს უყო, უთხრა: „უფალი შენთანაა, მრავალი ტანჯვისა და წამების დამთმენი იქნება კვალად, რათა განამზენეო და განაძლიერო ნათესავი ქრისტეანთა. შემდეგ მოვიდა ამისა მრავალფერი სატანჯველი აღესრულა მთავარმონაშის მიმართ, ისე, როგორც მას აუწყა ანგელოზმა უფლისამან: ადუღებულ საკირეში ჩააგდეს 3 დღე-ღამის განმავლობაში, მტარვალები ფიქრობდნენ, რომ ამ ნაშენის შედეგად ძვალს ხორცი განმორდებოდა, გაეფარებოდა სილინის ქოშები ჩააცვებს, რკინის ცხელი მარნეებით ადუღებდნენ სხეულზე ხორცებს, ძროხის ძარღვებით დაწნული მათრახებით სცემდნენ და ფლეთდნენ მას და სხვა უამრავი მრავალფერი სატანჯველით განცადეს იგი, ხოლო დიოკლეტიანემ, მისმა მეგობარმა მანეტიუსმა და მტარვალებმა შედეგად მიიღეს ის, რომ მთელს იმპერიაში ათითასობით ადამიანი მხნე იქნა და გახდა ქრისტიანი. მათ შორის „ანატოლიის სტრატიატი“. მან თანამებრძოლთა და სახელეულთან ერთად ირწმუნა ქრისტე (სტრატიატი)“ — ერთ-ერთი ლეგიონის მთავარსარდალი. ასევე ერთი მონათმოქმედი და, ამავე დროს, შეუღლებული მეურნე მონაღვთისა „ლელიკერი“, რომელსაც წმინდა გიორგიმ განუყოცხლა მკვდარი ნაშენი ხარი. ამისათვის ის მტარვალებმა საშინლად აწამეს და მოუხედავად იმისა, რომ ის არ იყო მონათლული ქრისტეს რჯულით, წმინდანის ლოცვა-ვედრებით, უფლის ნებით, ის წამების დროს თავის სისხლში განინათლა და მონაშენი დასს შეუერთდა. თვით იმპერატორ დიოკლეტიანეს მეუღლეც, დედოფალი ალექსანდ-



წმ. გიორგის ბორბალზე წამება



წმ. გიორგის საბამევილი ბორბალი

რა გახდა ქრისტიანე და მთელი ერის წინაშე აღიარა მხოლოდ ერთი ქვეყნის ღმერთი, ყოვლადწმინდა სამება. შემდგომო მრავალფეროთა სატანჯველთა, რომელიც არ არიან აღწერილი ამ წერილში, მიიყვანეს დიდმონაშენი გიორგი „ადგილსა მას წამებისასა“. (თვესა ძვ. სტ. 23 აპრილსა, ახ. სტ. 6 მაისსა — და ეტყოდა მებლმეებს, ანუ ჯალათებს „მკირედ მაცადეთ ძმანო, რათა ვილოცო. საუკუნოდ შეავედრა უფალს ქრისტეანთა მოდგმა და შენევათ მათთვისაც, რომელნი მოისენიებენ წმინდა მთავარმონაშენი გიორგიდ სახელს და მის ქრისტეს მიერ ვნებებს და შეეხებთან სარწმუნოებით ძვალთა მისთა, ხატთა მისთა, ტაძართა მის სახელზე აღშენებულთა, ყოველთა სინამდვილთა, წმინდა მარტოლის სახელზე ნოდებულისა და რათა მოეხიფოს მათ კურნება სულიერისა და ხორციელისა. ლოცვა

ტყვეთა განმათავისუფლებელი და გლახაკთა ხელის აღმწერელი, სწულთა მკურნალი და მეფეთას უღვეველო წინათმბრძოლო, ღვანლით შე მოსილო წმინდაო, დიდო მონაშენი გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შენყალებად სულთა ჩვენთათვის! ამინ!

გამათ ზოსიმა

მაღე ასპინძის ომის ამსახველი მემორიალური კომპლექსი დაიდგება

„ვამბობ ასპინძის და კვლავ ომი მომენატრება!“ — ბრძანებს გალაკტიონი და, ცხადია, ამით „ასპინძის“ გამარჯვების სიმბოლოდ მიიჩნევს. ასპინძის ომი საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებითაა ჩანერილი, რადგან სწორედ აქ, ამ ძირძველ ქართულ მიწაზე გამობრწყინდა დიდი მეფისა და უბადლო მხედართმთავრის ერეკლე მეორის გენიალური სამხედრო ნიჭი, სტრატეგია — რომელიც სამხედრო ხელოვნების უიშვიათეს ნიმუშად იქცა — უმნიშვნელი დანაკარგით მიღწეული იქნა ბრწყინვალე გამარჯვება თურქ-ოსმალთა მრავალრიცხოვან ჯარზე. ჯერ არ ასოსვს კაცობრიობის ისტორიას — ქვეყანაში, სადაც მასშტაბურად დიდი ბრძოლა თუ ომი მომხდარიყო და იმ ადგილზე, ამ ომის ამსახველი ობელისკი, მემორიალი თუ ნიში, არ დადგმულიყოს და ამით არ გამოეხატოთ თავიანთი ღრმა პატივისცემა იმ დიდი წინაპრებისადმი, რომლებმაც სახელოვანი ფურცლები ჩაწერეს თავიანთი ქვეყნის ისტორიაში. ის კი არა, პრუსია-საფრანგეთის ერთ-ერთი ბრძოლის დროს, იქ, სადაც ნაპოლეონს ქუდი დაუფარდა, გერმანელებმა უშველებელი ობელისკი აღმართეს ზედ დადგმული ნაპოლეონის ქუდით. ასპინძის ომი კი მტერზე ის ბრწყინვალე გამარჯვებაა, რომლითაც უნდა ვამაყობდეთ და პატირობთ სულსკ-

ვეთებით ვზრდიდეთ ჩვენს მომავალ თაობებს, რომ ჯერ კიდევ არაფერი არაა დაკარგული!.. მიუხედავად იმისა, რომ დაბის ცენტრში, თვალსაჩინო ადგილზე, ასპინძის ომის ამსახველი მემორიალური ქვა დიდი ხანია დგას, იგი მაინც ვერ ასახავს ამ ომის დიდმნიშვნელობას და სრულიად ვერ იქცევს აგრერიგად მომრავლებული ტურისტებისა თუ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული დამთვალიერებლების ყურადღებას. მუნიციპალიტეტის გამგეობის გადაწყვეტილებით (გამგებელი ლევან ცაბაძე), დაიწყო და უახლოეს მომავალში — ივლისის შუარეცხვისთვის, დაბა ასპინძის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, აღიმართება ასპინძის ომის ამსახველი მემორიალური კომპლექსი. მუნიციპალიტეტის გამგეობამ გასულ წელს აღნიშნული მემორიალური კომპლექსის დადგმასთან დაკავშირებით გამოაცხადა კონკურსი და გამარჯვებულად ცნეს მოქანდაკე ჯემალ თუშურაშვილის პროექტი, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 310 ათას ლარს შეადგენს.

ავთანდილ მუსხი



საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის სრულდა ზენიტური მსხვერპლები

ბაადურ დიმიტრის ძე ბერიძე



წლის 28 აგვისტოს სოფელ ტამიშთან დაკრძალულია სოფელ ანციტაში.

დაიბადა 1972 წლის 4 მაისს ასპინძის რაიონის სოფელ ანციტაში. იზრდებოდა მრავალშვილიან ოჯახში. 1979-1989 წლებში სწავლობდა ამავე სოფლის საშუალო სკოლაში. იგი თანაკლასელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული მოსწავლე იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ შედის ეროვნული გვარდიის რიგებში და დღიდან აფხაზეთში გაჩაღებული ძმთაშვილური ომის დაწყებიდან, აქტიურად იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, ბაადურ ბერიძე სრულიად ახალგაზრდა, სიცოცხლით სავეს დაიღუპა 1992 წლის 28 აგვისტოს სოფელ ტამიშთან. დაკრძალულია სოფელ ანციტაში.

მამუკა შოთას ძე ზურაბაშვილი



დაკრძალულია დაბა ასპინძაში.

დაიბადა 1972 წელს ასპინძის რაიონის დაბა ასპინძაში. 1989 წელს დაამთავრა დაბის საშუალო სკოლა, ხოლო 1990 წელს განვეული იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურში, ჯერ კიდევ არსებულ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში, სადაც მხოლოდ ორიოდე კვირა დაჰყო და მშობლიურ კერას დაუბრუნდა. ეროვნული გვარდიის შექმნისთანავე შედის მის რიგებში. მსახურობდა ტყვეულის ბატალიონში. 1991 წლის აგვისტოში გვარდიის სარდლობის ბრძანებით იგზავნება ჯერ შენაბადაზე, შემდეგ – თერჯოლის ეროვნულ გვარდიაში, იქიდან – ცხინვალის რეგიონში, აგვისტოში კი სოხუმიში. 1992 წლის 24 აგვისტოს ერთ-ერთ ბრძოლაში მამუკა ზურაბაშვილი მძიმედ დაჭრილი იქვე გარდაიცვალა. დაკრძალულია დაბა ასპინძაში.


მერაბ ამირანის ძე გიორგაძე



დაკრძალულია სოფელ ნიჯგორში.

დაიბადა ასპინძის რაიონის სოფელ საროში 1970 წლის 27 აპრილს. 1976 წელს სწავლას იწყებს ამავე სოფლის 8-წლიან სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ტოლოშის საშუალო სკოლაში, შემდეგ – ახალციხის დოსააფის ავტოსკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ იწვევენ სავალდებულო სამხედრო სამსახურში – უკრაინაში. ჯარიდან დემობილიზებული მერაბმა ცხოვრება განაგრძო ქალაქ რუსთაველაში. აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე იგი მოხალისედ მიდის და სხვადასხვა მიმართულებით იბრძვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის და, ბოლოს, 1993 წლის 16 ნოემბერს, გალის გათავისუფლებისათვის ბრძოლაში, დაიღუპა. დაკრძალულია სოფელ ნიჯგორში.

მალხაზ გიორგის ძე მელიძე



დაკრძალულია დაბა ასპინძაში.

დაიბადა ასპინძის რაიონის დაბა ასპინძაში 1972 წლის 18 თებერვალს. დაამთავრა ასპინძის საშუალო სკოლის არასრული კურსი და სპორტზე უსაზღვროდ შეყვარებული ახალგაზრდა სწავლას აგრძელებს თბილისის ოლიმპიური რეზერვების სპორტულ სკოლა-ინტერნატში, კლასიკური ჭიდაობის სექციაში, იგი სამეზბის ჩემპიონი იყო თავის წონით კატეგორიაში – (ერთგზის რაიონისა და ორგზის საქართველოს მოზარდთა შორის). 1991 წელს გაიწვიეს ახლადშექმნილ ეროვნულ გვარდიაში. როგორც სპორტსმენი, ჩაირიცხა „თეთრი არმიის“ სპეცდანიშნულების ბატალიონში, ხოლო გვარდიის დაშლის შემდეგ, კვლავ შეიარაღებულ ძალებში ბრუნდება – ტყვეულის მე-17 ბატალიონში. სამაჩაბლოში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებისთანავე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სადარაჯოზე დგება და 1992 წლის 13 ივნისს ერთ-ერთი ბრძოლის დროს დაიღუპა. დაკრძალულია დაბა ასპინძაში.



სონუმში მუხის ხე წააქა,
უბნინ აფხაზი ბიჭები,
ჭრთუკლთა სხლეტაუ დაქა,
შიალოუ არ ისძის ფიჭუების.

სონუმში ციციბაუ დაქა ქანა,
ჯერაინ გაბუნა იჭუბა,
მღუბნუდ შეისა ხანქა ქრაც
უდრიოდ წახულო ბიჭების.

ოთარ რურუა



აკაკი ვახტანგის ძე გორელიშვილი



ამავე წლის ივლისიდან უკან აღარ დაბრუნებულა.

დაიბადა 1959 წლის 6 ნოემბერს ასპინძის რაიონის დაბა ასპინძაში. 1966 წლიდან 1976 წლამდე სწავლობდა ასპინძის საშუალო სკოლაში, შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის კომპერაციულ ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1979 წელს. შემდეგ გაიარა სავალდებულო სამხედრო სამსახური და 1992 წლიდან მოხალისედ იბრძვის სამაჩაბლოში, 1993 წლიდან მუშაობას იწყებს ახალციხის 22-ე მოტომსროლელი ბრიგადის 21-ე ბატალიონში სასადილოს უფროსად. 1993 წლის ივნისში გაიწვიეს საბრძოლველად აფხაზეთში – ბრძოლის წინა ხაზზე. 1993 წლის ივლისიდან უკან აღარ დაბრუნებულა.

ზვიად არუთის ძე ლაზარაშვილი



ამავე წლის ივლისიდან უკან აღარ დაბრუნებულა.

დაიბადა ასპინძის რაიონის სოფელ ვარგაში 1964 წლის 18 ნოემბერს. 1971 წელს სწავლა დაიწყო სოფელ ვარგაის რევანლიან სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ – გააგრძელა ასპინძის საშუალო სკოლაში. სკოლის სრული კურსი დაამთავრა თუ არა, მოხდა სავალდებულო სამხედრო სამსახური. დემობილიზებული ზვიადი კი მუშაობას იწყებს ასპინძის ავტოსატრანსპორტო სანარმოში ავტომძღოლად, 1991 წელს გადადის ახალციხის მე-9 ბატალიონში (გვარდიაში) და აფხაზეთის კონფლიქტის დაწყებისთანავე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დამცველთა შორის უყოყმანოდ დგება. 1993 წლის 3 ივლისს სოფელ ტამიშთან, მორიგი იერიშის დროს, დესანტის გადმოსხმისას, მძიმედ დაიჭრა და მას შემდეგ არავითარი ინფორმაცია მასზე აღარ არსებობს.

ვეფხია ლევანის ძე დათაშვილი



დაიღუპა 1993 წლის 27 ოქტომბერს სოხუმში გამართული ბრძოლის დროს ვეფხია მძიმედ დაიჭრა და იქვე გარდაიცვალა.

დაიბადა ასპინძის რაიონის სოფელ ვარგაში 1965 წლის 5 დეკემბერს. 1979 წელს დაამთავრა ვარგაის რევანლიანი სკოლა, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის კლესელიძის სახელობის სამხედრო სასწავლებელში. 1983-1988 წლებში სწავლობდა ქ.ყაზანის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში. 1988-1991 წლებში მსახურობდა გერმანიაში, როგორც ოფიცერი, ხოლო 1991-1993 წლებში, საქართველოს შეიარაღებულ ძალებშია, კერძოდ, ქალაქ გორში – სატანკო ნაწილის მეთაურის მოადგილის თანამდებობაზე. 1993 წლის 27 ოქტომბერს სოხუმში გამართული ბრძოლის დროს ვეფხია მძიმედ დაიჭრა და იქვე გარდაიცვალა. დაკრძალულია ქალაქ ხაშურში.


ბადრი ოთარის ძე მელიძე



დაიღუპა 1993 წლის 2 ივლისს, ტამიშთან, რუსების დესანტის გადმოსხმის დროს გამართული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს იგი სასიკვდილოდ დაიჭრა და სამშობლოს ზვარაკად შეენირა.

დაიბადა 1972 წლის 11 იანვარს ასპინძის რაიონის სოფელ ნაქალაქეში. 1979 წელს შევიდა და 1989 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის პროფესიულ სასწავლებელში კულინარიის განხრით, რომლის დამთავრებისთანავე განვეული იქნა სავალდებულო სამხედრო სასწავლებელში. თავდაპირველად მსახურობდა ქალაქ ტყეშულის ეროვნულ გვარდიაში, მოგვიანებით გადაჰყავთ ახალციხის ეროვნულ გვარდიაში, საიდანაც იწვევენ აფხაზეთში და იბრძვის სხვადასხვა მიმართულებით. 1993 წლის 2 ივლისს, ტამიშთან, რუსების დესანტის გადმოსხმის დროს გამართული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს იგი სასიკვდილოდ დაიჭრა და სამშობლოს ზვარაკად შეენირა.

ტარიელ ვალტერის ძე ზაზაძე



დაიღუპა 1994 წლის 17 ივნისს, ტარიელი ბრძოლის ველზე დაეცა.

დაიბადა 1974 წლის 10 მაისს ასპინძის რაიონის სოფელ თმოგვში. 1981 წელს სწავლას იწყებს ამავე სოფლის 8-წლიან სკოლაში, ხოლო შემდეგ სწავლას აგრძელებს ნაქალაქეის საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრებისთანავე განვეული იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურში – ახალციხის სასაზღვრო ნაწილში. ტარიელ ზაზაძეს, 1994 წლის დსანყისში, თავის ტყუპისცალ ძმასთან – ფრიდონთან ერთად აგზავნიან აფხაზეთში და სხვა მრავალ ქართველ პატრიოტთან ერთად ტყუპი ძმები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მარუხის უღელტეხილზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში საქართველოს დაუძინებელ მტრებს და – 1994 წლის 17 ივნისს, ტარიელი ბრძოლის ველზე დაეცა. ტარიელ ზაზაძე დაკრძალულია სოფელ თმოგვში.

ტარიელ მიხეილის ძე ქამაშიძე



დაიღუპა 1994 წლის 21 აპრილს ასპინძის რაიონის სოფელ მირაშხანში, 1994-2004 წლებში სწავლობდა ამავე სოფლის საშუალო სკოლაში, 2006 წელს განვეული იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. მსახურობდა 41-ე ბრიგადის მე-4 ქვეით ბატალიონში „კაპრალად“, იყო მეტყვიამფრქვევე. დაიღუპა 2008 წლის 9 აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომის დროს გორის მისადგომებთან. დაკრძალულია სოფელ მირაშხანში.

დაიბადა 1988 წლის 21 აპრილს ასპინძის რაიონის სოფელ მირაშხანში, 1994-2004 წლებში სწავლობდა ამავე სოფლის საშუალო სკოლაში, 2006 წელს განვეული იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურში. მსახურობდა 41-ე ბრიგადის მე-4 ქვეით ბატალიონში „კაპრალად“, იყო მეტყვიამფრქვევე. დაიღუპა 2008 წლის 9 აგვისტოს საქართველო-რუსეთის ომის დროს გორის მისადგომებთან. დაკრძალულია სოფელ მირაშხანში.

წარსლის ფურცლები



დიდი სამამულო ომის მონაწილეები. დაბა ასპინძა. სურათი გადაღებულია 1978 წელს.

„ბუფეტჩიკი“ მეტყველი

გასული საუკუნის 70-იან წლებში დაბა ასპინძის ცენტრში, ყველასათვის კარგად ნაცნობი, სანდომიანი გარეგნობის, ენაწყლიანობით გამოჩენილი, ხანშიშესული მეტყველი ვანო მეტრეველი მუშაობდა, რომელსაც განსაკუთრებული მომსახურების გამო, კლიენტები ყოველთვის ფუტკარივით ეხვია თავზე.

იმხანად მისი სმირი სტუმრები იყვნენ ასპინძაში, მივლინებით (მდინარე მტკვრის სანაპიროზე, კოლმეურნეობის ფართობებზე, ერთ-ერთ სამხედრო ნაწილს ბოსტნეული კულტურები მოჰყავდა და მისი ზედამხედველები იყვნენ) მყოფი სამი რუსი სამხედრო პირი, რომლებიც ფეხზე დგომით, გადაჰყავდნენ ხოლმე 100-100 გრამ არაყს, თითო ლუკმა პურსაც დააყოლებდნენ და შეზარბოვებულები ტოვებდნენ ძია ვანოს ბუფეტს.

ერთ დღესაც ძია ვანო ნახევარლიტრიანი ბოთლიდან 100-100 გრამი ჩამოუსხა სამხედროებს და ბოთლი გვერდზე მიდგა. სტუმრებს ბოთლში დარჩენილი არაყი ებებრა... საცხე ჭიქები გვერდზე გასწიეს, დასტაცეს ბოთლს ხელი და არც გამოშვებობებთან ვანო ძიას, ისე გავიდნენ ბუფეტთან.

დიმიტრი მალრაძე

სისუფთავის დასვა ჩვენი საზრუნავია

გარემოს დაცვა დღეს ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა, რადგან დასუფთავებული ქალაქი, დაბა, სოფელი, საკუთარი ეზო-კარმიდამო, ესაა აუცილებელი პირობა იმისა, რომ მეტი სტუმარი, მეტი ექსკურსანტი, დამთავლიერებელი გენვიოს და შენს წარსულს, დღევანდლობას გაეცნოს. თუმცა, უპირველესი მაინც ჯანსაღი გარემო, სისუფთავე, ჯანმრთელობის გარანტიაა, რადგან ყველა დაავადების წყარო ხომ უსუფთაობა და გარემოს დაბინძურებაა. აბა გადახედეთ – ბევრგან ჩვენი მოსახლეობა როგორ უდიერად ექცევა ჩვენს დედაბუნებას, როგორ აბინძურებენ ქუჩებს, სკვერებს და ყველაფერს, სადაც ხელი მოუხდებათ. ამიტომ შემთხვევითი არ ყოფილა ის ფაქტი, თუ როგორ გაამკაცრა სახელმწიფომ დანაგვიანებაზე პოლიტიკა და სახელმწიფო ზრუნვის საგნად აქცია, – დანსებულები საჯარო საწმენკო ავტომობილები დასტურია.



ბიც, რომლებიც უახლოეს პერიოდში მოასფალტდა; დაბაში ქუჩების დასასუფთავებელი ფართი მთლიანობაში შეადგენს 87.822 კვადრატულ მეტრს, ხოლო პარკების, სკვერების, ადმინისტრაციული შენობების დასასუფთავებელი ფართი – 28.990 კვადრატულ მეტრს. დაფინანსება განსაზღვრულია სატენდერო თანხით, რომელიც მიმდინარე წლისთვის განსაზღვრულია 190.000 ლარით. აქედან – ხელფასებისთვის გათვალისწინებულია 152.040 ლარი, ხოლო დანარჩენი – სანავისა და სხვა აუცილებელი ხარჯებისათვის. დაბის ცენტრის ქუჩების ძირითადი ნაწილი მოასფალტებულია და ყველა ქუჩას შესაბამისი დამსუფთავებელი ემსახურება. გარდა კონკრეტული სამსახურებრივი მომსახურებისა, კვირაში ერთხელ მაინც, რიგ შემთხვევაში ორჯერაც, ვანოებით ე.წ. „შაბათობებს“ და ვასუფთავებს ასპინძის ცენტრალური გზის დაბინძურებულ მონაკვეთებს.

თუმცა, სისუფთავეზე ზრუნვა, მაინც, ისევე, ადგილობრივი თვითმმართველობის პრეროგატივად რჩება, – როგორ განახორციელებ ამ მიმართულებით მუშაობას, მასზეა დამოკიდებული თუ როგორ უზრუნველყოფ დაცვის ხელმძღვანელები მექანიზმით, როგორ აღიჭურვება იგი და როგორ განავითარებ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომ საოჯახო ნარჩენები, ეზოებიდან გამოტანილი ნაგავი, ქუჩაში რომ არ მოხვდეს.

ამ მიმართებით ასპინძის მუნიციპალიტეტის შპს „კეთილმოწყობის სამსახური“ ყოველდღიურად მართლაც და ჯეროვან ყურადღებას ვაქცევთ როგორც დაბაში სანიმუშო სისუფთავის დაცვას, ასევე – სოფლადაც.

ჩვენი დიდი მცდელობისა და მუნიციპალიტეტის გამგეობის აქტიური მხარდაჭერით, დღეიდან ვზრუნავთ ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის, რადგან უიმისოდ სისუფთავის დაცვა ყოველად შეუძლებელია. ერთი პერიოდი, როდესაც მოუწესრიგებელი იყო ეს სისტემა,

კერძო პირებისგანაც გვიხდებოდა სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება, ნაგვის გაზიდვისათვის, რაც არათუ ამძიმებდა ჩვენს მუშაობას, დიდ ხარჯებთანაც იყო დაკავშირებული. ამჟამად კი, როგორც ითქვა, გამგეობის მხარდაჭერით, შევიძინეთ ნაგავსაზიდი ორი ავტომანქანა, რამაც სრულიად შეცვალა სიტუაცია. შესაბამისად, მთავარი, ასევე, მაინც ნაგავსაყრელი ურნები იყო და ეს პრობლემაც ძირითადად მოწესრიგდა – ახლახან შევიძინეთ 100 ერთეული და ყველა საჭირო ადგილზე დაიდგება, რათა მოსახლეობას შეეუქმნათ პირობები, რომ ვუზრუნველყოთ მათი მომსახურებით.

აქვე დავძენ, რომ ჩვენი სამსახური ასევე მომსახურებას უწევს მუნიციპალიტეტის 12 დასახლებულ პუნქტს და კვირაში ერთხელ მაინც ვუზრუნველყოფთ მათგან ნაგვის გაზიდვას.

და მაინც, სისუფთავის დაცვა თითოეულ ჩვენთანგანზეა დამოკიდებული, რადგან თუ გვაქვს ნაგავსაყრელი, იგი დანიშნულებისამებრ უნდა გამოვიყენოთ და არა ისე, რომ ნაგავი ისევე იქ გადავყაროთ, სადაც მოგვესურება. ასეთი მოქცევა უკულტურობის, დაუდევრობის, საზოგადოებისადმი უპატივცემლობის მანიშნებელია და ჩვენ თუ გვინდა კულტურულ ადამიანებად ვიქცეთ, უპირველესად, ხალხის ინტერესი და პოზიცია უნდა გავითვალისწინოთ.

ერთი, რაც აგრერივად გვიშლის ხელს სისუფთავის დაცვაზე, ისიცაა, რომ ნაგვის ურნების სმირი ბინადრები მანანალა ძაღლებია, რომლებიც, ჩვენდა სამწუხაროდ, სისტემატურად აბინძურებენ ურნების შემოგარენს და ამაზე, იმედია ისინი იზრუნებენ, ვისაც ეს ხელეწიფება.

ნუზხარ ელიზბარაშვილი, შპს ასპინძის კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორი

სკოლა

ომორღებმა გვასახედეს!



მიმდინარე წლის 13 აპრილს ქ. ახალციხეში, სასკოლო ოლიმპიადის ფარგლებში, ჩატარდა რეგიონის ფინალური თამაშები ფრენბურთში, გოგონათა შორის. ასპინძის მუნიციპალიტეტიდან აღნიშნულ შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო ომორღის საჯარო სკოლის გოგონათა გუნდმა (პედაგოგები – მერაბ მეფარიძე და ოთარ კობერიძე). უნდა ითქვას, რომ ჩვენმა წარგზავნილებმა

ტრიუმფალურად გაიარა სამივე შეხვედრა და I ადგილი დაიკავა. პირველ თამაშში მათ ნინოწმინდის გოგონათა გუნდი დამარცხეს ანგარიშით – 2-0; ამავე ანგარიშით მოუგეს ქ. ახალციხის გუნდს და ფინალურ თამაშში სძლიეს ადიგენის წარმომადგენლებს. აქაც ანგარიში 2-0 დაფიქსირდა ომორღის გოგონათა გუნდის სასარგებლოდ. გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს საქართველოს, აღმოსავლეთის რეგიონის ზონის ფინალურ თამაშებში. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: ანა და თიკა ბუცხრიკიძეები, თამარ ლაზარაშვილი, თეა და თეონა ივანიძეები, ნინო ართმელაძე, თეონა ქარაიძე, ქეთევან აბულაძე, თამარ გიგაშვილი, მარიკა კახაძე, მარიამ გოგიშვილი.

პაატა ქავთარაძე

დასუფთავდა სახელმწიფო გზის მიმდებარე ტერიტორიები

ამ დღეებში, ტრადიციულად, მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით, გარემოს დაცვისა და სახელმწიფო მაგისტრალური საავტომობილო



გზის მიმდებარე ტერიტორიებზე, ნარჩენებისაგან დასუფთავების მიზნით, დაბაში არსებული სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციების მონაწილეობით ჩატარდა შაბათობა, რომელმაც მოიცვა სოფელ რუსთავიდან ხერთვისამდე მონაკვეთი.

საკ. ინფორმაცია

რედკოლეგია

